23 მარტი. 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 34 ყოველკვირეული ჟურნალი № 34

წლიურ ხელის მომწერთ საალდგომოდ მიუვათ:

— ყველა გამოსული №№-ბი წრევანდელი და წარსული წლისა.

— ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი (ლიტოგრაფიულად ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი)

— „ნიშადურის“ კრებული (პირველი და მეორე წიგნი).

წლიური ფასი 5 მანეთი.

ქართული ეროვნული ხელოვნება



იაკობ ნიკოლაძე (თავის სახელოსნოში).

ი. ჭავჭავაძის ძეგლის პროექტი მამადავითზე ი. ნიკოლაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატია სოფლად

(დასასრული)

X

ერთ რაზმელს, ი—შვილს ხუთი წლის წინად, როდესაც მოძრაობაზე ხსენებაც კი არ ყოფილა, კნ-ვის მცხოვრებელ გლეხ ბ—ძესთან ჩხუბის დროს ამ უკანასკნელს ი—შვილი ხანჯლით დაუჭრია სახეში, მასუკან ამ ორ გლეხ შორის სიძულვილე და მტრობა იყო ჩამოვარდნილი და ი—შვილი, წინად უბრალო მომაკვდავი, დღეს კი პარტიის მიერ განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილი და შეიარაღებული, მხოლოდ ერთსა ჰფიქრობდა, სად შეხვედროდა თავის მტერს და როგორ გასწორებოდა მასთან ძველი ანგარიში. და აი ამ ორი წლის წინათ, გერისთობას ი—შვილმა მიასწრო ბ—ძეს და კარგადაც იყარა ჯავრი. რამდენიმე ამხანაგის დახმარებით ი—შვილმა დაიჭირა ბ—ძე, სოფლის გარედ გაიყვანა და საზარლად აწამა: დასთხარა ორივე თვალები, მოსჭრა მარჯვენა მკლავი, ცხვირი, ყურები, ცოცხალმკვდარი გზაზე დააგდო და მიანება თავი. გავიდა ერთი საათი, რადაც განგებით გლეხი არ მოკვდა, მოსულიერდა და ერთ მეზობელთან მიფარფატდა. მეზობელმა შეუხვია საცოდავს ჭრილობები და ლოგინში ჩააწვინა. მაგრამ ეს გაიგეს მკვლელებმა, დაბრუნდნენ უკან, შევიდნენ იმ გლეხის ოჯახში და მომაკვდავ კაცს ხანჯლებით სრულიად მოუსპეს სიცოცხლე.

სოფელ მ—ხევის ბოლოს რაზმელებმა მოასწრეს მოხუცებულ, 65 წლის აზნაურ ქ—ძეს. რა ბრალი მიუძღოდა რაზმელების წინაშე ამ მოხუცებულ კაცს, არავინ იცის. ქ—ძეს შემოეხვივნენ გარშემო რაზმელები, თოფები დაუმიზნეს, ხელში ბარი მისცეს და უბძანეს, თვისი საფლავი საკუთარის ხელითვე გაეთხარა. ამ გვარად ამოათხრევინეს დიდი ორმო, შეკრეს, ჩასვეს შიგ, ყელამდინ მიწა მიაყარეს და მიუტკეპნეს, ისე რომ თავი და უჩანდა. შემდეგ დააჭრეს ცხვირი, ყურები, ენა, ტუჩები და გზას გაუდგნენ ქ—ძე ემუდარებოდა რაზმელებს: თუ ჩემ მოკვლაზე ტყვიის დახარჯვა გეზარებათ, ჯიბეში სამი მანეთი მაქვს. ერთი ტყვია მომყიდეთ და ამ სატანჯველს გადამარჩინეთო. რაზმელებმა არ შეისმინეს ეს თხოვნაც კი და წავიდნენ. ქ—ძე ისე ცოცხლად-დამარხული მოკვდა.

სოფელ შ—სში სოფლის მწერლად იყო ერთი სხვა სოფლის აზნაური ტ—შვილი, რომელიც დედ-მამით იქა სცხოვრობდა. რეაქციის დროს ერთ პოლიციის თვალში შემჩნეულ ადგილობრივ მცხოვრებ გლეხს დამალვა ესაჭიროებოდა და პასპორტი კი არა ჰქონდა, იმ სოფლის მამასახლისმა ამ კაცს პასპორტი არ მისცა. პასპორტის მიუცემლობა დააბრალეს სოფლის მწერალს ტ—შვილს. მიეჭრენ ერთ დღეს სახლში და რამდენიმე ტყვიით დახოცეს შვილი და მამა, მხოლოდ დედა მძიმედ დასჭრეს.

იმავე რაიონში, სოფელ ი—ში, რაზმელებმა დახოცეს მამა და შვილი აზნაურნი ზ—შვილები და ბძანება გასცეს: მაგათი დამარხვა არავინ არ გაბედოსო. ცხედრები რამდენიმე ხანს ეყარნენ დაუმარხავათ, ბოლოს მათმა ნათესავმა 17-18 წლის ყმაწვილმა ნ—ძემ როგორც იყო გაბედა, რაზმელების რისხვა თავზე იდო და მკვდრები მიწას მიაბარა. ამ ყმაწვილს მოასწრეს გზაში მკვლელებმა, დაიჭირეს, შეჰკრეს, დააწვინეს მიწაზე, ზედ ფიჩხი დააყარეს წაუკიდეს ცეცხლი და ცოცხლად დასწვეს,

ერთ რაზმელს სოფელ ქ-ში გლეხი ბ—შვილის გასათხოვარი ქალი მოეწონა და მისი საყვარლად გახდომა მოინდომა. ქალი არ დანებდა, მაშინ რაზმელმა ხერხი იხმარა. სოფლად არსებობს ერთი ჩვეულება ქალი და ვაჟი რომ დაინიშნებიან, იმ დღიდანვე შეძლება ეძლევათ ცოლ-ქმრული კავშირი იქონიონ ერთმანეთში, რადგან მეტად იშვიათი შემთხვევაა, რომ კაცმა თავის დანიშნულზე ხელი აიღოს, ამას არ აპატიებენ დანიშნულს არც ქალის ნათესაობა და არც სოფელი. რაზმელმა მოინდომა ქალის გასაუპატიურებლად ამ ჩვეულებით ესარგებლნა და „რევოლიუციონურ გზით“ ქალზე დაინიშნა, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ გასჭრა, ქალი მაინც არ დანებდა. მაშინ გამხეცებულმა რაზმელმა მოჰკლა ქალი, დააჭრა ძუძუები და იქვე ძაღლებს შეაჭამა.

სოფელ ყ—თში მოჰკლეს აზნაური ჩ—შვილი და დობის მარგილზე ჩამოაცვეს. დობის პატრონს უთხრეს: შენ დობეს ძეძვი არ ჰქონდა და აი გავუკეთეთო.

სოფელ ი—თში გზაზე დაიჭირეს თავადი ფ—შვილი, 80 წლის კაცი, წააქციეს, ორმა თავი და ფეხები დაუჭირეს, ორმა კიდევ ბირდაბირით*) თავი მოახერხეს.

სოფელ ტ—ში, სოფლის ბოლოს რაზმელებმა დაიჭირეს აზნაური ქ—ძე, ტყეში გაიყვანეს, ხეზე მიაკრეს და ერთი საათის განმავლობაში რაზმელები სიცილითა და ხარხარით თოფის სიკარგესა და სწორ დამიზნებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: არა მე კარგად მომყავს ნიშანში, არა მეო! არა, ჩემი თოფი სჯობია შენ თოფს არა ჩემიო!!

როგორც თითონ გლეხები ამბობენ, ამ აზნაურის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ რამდენიმე დღის წინად იმას ს—სის ბორანზე ერთმა ოსმა ქუდი და ყაბალახი წაართვა და ეს ამბავი იმან პოლიციის ბოქაულთან გამოაცხადა.

საზოგადოდ როგორ „ასამართლებდნენ“ ეს „ახლად მოვლენილი მსაჯულნი“ და როგორ სჯიდნენ ხალხს

*) ხის საჭრელი ხერხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამებითა და სიკვდილით, მკითხველს შეუძლიან დაინახოს შემდეგი უბრალო და უმნიშვნელო მაგრამ საკმაოდ დამახასიათებელ ფაქტიდან: სოფელ ქ—ში ორ ძმას საოჯახო საქმეზე უკმაყოფილება მოუხდათ, ერთმა მათგანმა დასწყრა და რაზმელებთან უჩივლა. რაზმელები მეორე დღესვე დამე თავს დაესხა „ბრალდებულის“ სახლს. (წარმოიდგინეთ ქალებისა და ბავშვების აწიოკება და შიში!) ბრალდებული გამოიყვანეს კარში და ერთი საათის განმავლობაში უდგოდ სტემდნენ მათრახით, სახრითა და თოფის კონდახებით. შემდეგ მოუტანეს ერთი ჯამი საკვე მიწა და უბძანეს გლეხს: მიწა ორი წუთის განმავლობაში შეეჭამა. მეტი ღონე არ იყო. გლეხმა მთელი ჯამი მიწა შეჭამა. რაზმელები წავიდნენ. საქმე მიწუნარდა, მაგრამ შემდეგ"ი გამოირკვა, რომ ამ საქმეში გალახული და წამებული კი არა, თვით მამჩიკანი ძმა იყო დანაშაული. რაზმელებმა ახლა მამჩიკარი დაიჭირეს, ისევე სტემეს, ისევე ერთი ჯამი მიწა შეაჭამეს და თავის შეცდომა ამ გვარად გასწორეს.

ხეობელი.

ღამის სიმღერა მგზავრისა

(გიოტესი)

—

შენ, წმინდაო, მოსულო ცით
დარდებისა დამცხრობელო,
დაქანცულის მარად ბრძოლით
შეღავათის მიმცემელო!
წინ გზა მიძევს ფრიად ძნელი,
ჯერ შორს არის აღთქმის მხარე ..
შენ მშვიდობავ, ძალა მხსნელი
გულს მომფინე, გამახარე!

თარგ. **დ. ნ—შვილისა.**

შ ე ლ ლ ი დ ა ნ

—

მე მაკრთობს, ტურფავ, შენი ალერსი,
მაგრამ შენ ჩემი ნუ გეფიქრება;
ისე ღრმა არის ჩემი ნაღველი,
რომ შენი წყენა გამიძნელდება.

ეგ ხმა ციური და ნელი სუნთქვა
შიშსა ჰგვრის გულსა მრავალ ტანჯულსა,
მაგრამ მერწმუნე, არ მსურს დაღუპვა,
ენდე ჩემს გრძნობას და სიყვარულსა!

ა. შ—ლი.

სოციალ-დემოკრატია და მისი ბელადი იდეოლოგი

(შებდეგი*)

მეორე დიდი შეცდომა, უკედ რომ ვსთქვათ, გაუგებრობა მარქსიზმისა, არის ეგრედ წოდებული „ეკონომიური მატერიალიზმი“. მეტადრე ეს „ეკონომიური მატერიალიზმი“ მოსწონთ მარქსისტებს. გამოტეხილი მოგახსენოთ, ბევრი ვეცადე გამეგო, თუ რა არის ხხენებული მატერიალიზმი, მივმართე ამ მიზნით მარქსისტებს და ზოგ არა მარქსისტებსაც, რომელთაც კი სწამთ მარქსიზმის მხოლოდ ეს მხარე, მაგრამ ვერას გავხდი, ვერა გავიგერა. ზოგი ამბობს, ისტორიის ერთად-ერთი აღმამოძრავებელი მიზეზი კუჭის მოთხოვნილებაა, ზოგი აღიარებს კუჭის მოთხოვნილებას მხოლოდ მთავარ მიზეზად, ზოგი მარტო მანქანას, თოხსა და ბარსა სთვლის ერთად ერთ ისტორიის ღერძად, ზოგი კიდეგ რას! ხშირად (მაგალითად, პლეხანოვი) სხვა-და-სხვა წერილებში სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ.

ქართველი მარქსისტების ეკონომიური „მატერიალიზმი“ კი ნამდვილი სემენარიული ბოდვაა, მარტოოდენ დამთხვეული ტვინის ოცნებაა. და ვინც მოინდომებს გამოარკვიოს იმათი უცნაური ისტორიული ფილოსოფია, ამაოდ იშრომებს, რადგან არა-რაისაგან არა-რა წარმოსდგება!

როგორც ხედავთ მარქსიზმი რაღაც უცნაური, ფატალისტური მოძღვრებაა. წარმოების განვითარება თავისი დიალექტიკური გზით თვით მიგვიყვანს სოციალიზმამდის. ადამიანი უბრალო მანქანაა, რომელსაც ეკონომიური მსვლელობა მიაქანებს მის უნებურად განსაზღვრული მიზნისაკენ; ერთი სიტყვით, ადამიანი, როგორც შემოქმედი მონაწილე ისტორიისა, არ არსებობს. მეცნიერებას შეუძლია მხოლოდ ცოტათი დააჩქაროს ისტორიული პროცესი, ანუ უკეთ ვთქვათ, ასრულებს მხოლოდ ბებიის დანიშნულებას, ე. ი. ანელებს რევოლიუციის ტკივილებს.

ასე ამცირებს ეს უცნაური მოძღვრება მეცნიერებისა და პიროვნების მნიშვნელობას. და ამ მოძღვრების დასრულებულ ნაყოფს წარმოადგენს ჩვენი სოციალ-დემოკრატია!

მკითხველო, უთუოდ გეცოდინება რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატს ძლიერ ეჯავრება უნივერსიტეტი და საზოგადოთ უმღლესი განათლება. და, ცხადია, ამისი მიზეზი მარტო ის არ არის,

*) იხ. № 33.

დაქანცულს მისძინებია—გოროხოვის ნახატი.

რომ ამ პარტიის ბელადები სემინარისტები არიან. „ნუ დაუჯერებთ ნასწავლებს, ძირს ინტელიგენცია და სტუდენტებიო“, გაიძახოდენ და აყვირებდენ ბრბოს. „სუტენტები“ ჩვენი მტრები არიანო, გაიძახის ქართველი ხალხი იმათ ხმაზე. ასე ხელაღებით უარ-ყოფა მთელი ინტელიგენციისა მხოლოდ ჩვენს საცოდავ საქართველოშია შესაძლებელი.

ეს კი მართალია: ჩვენებური სოციალ-დემოკრატია უარ-ყოფს მეცნიერებას. თვით ბელადებიც უმეცრები არიან, არა თუ უბრალო პროპაგანდისტები. გარდაიკითხეთ მათი ნაწერები და დარწმუნდებით.

საკვირველი ის არის, რომ ყოველ უმეცარ ეს-დეკს თავი მეცნიერი გონია და ისეთი რიხით და გულით გელაპარაკებათ, თითქო ცით მოვლენილი იყოს.

სამწუხაროა, რომ ამ უმეცარმა ფატალისტებმა ჩაიგდეს ხელში სახალხო მოძრაობა. ცოდნის მაგივრად იგინი ალჭურვილან ბრმა რწმენით, საბუთების მაგიერად ხმარობენ ფარ-ხმალად უშვერ ლანძღვა-გინებასა და ხშირად ძალადობას! ასეთია ფატალისტების თვისება!

ფატალისტებს ეჭირვებათ სათაყვანებელი კერპი. და აკი ჩვენი სოციალ-დემოკრატები ყოველ მიტინგზე მარქსის ხატს დაასვენებდენ ხოლმე! ბ-ნო ეს-დეკებო! გაიგეთ, რომ ვისამე გაღმერთება, თუნდ მარქსისა შემაძრწუნებელია, მიუტევებელი ცოდვაა მეცნიერების წინაშე! მარქსი დიდი მწერალი იყო, მაგრამ უცოდველი პაპი თვითონაც კი არ ეგონა თავი. თუ მარქსს აღვიარებთ კერპად, მაშინ ხომ მისი შეცდომებიც უნდა აღიაროთ! თუ იმისი თქმა გინდათ, რომ მარქსისთანა მეცნიერი არ ყოფილა ქვეყნადო, ამგვარი ტყუილ ხომ თქვენისთანა უმეცრებსაც არ ეკადრებათ!

დიაღ, ბრმა რწმენა, მეცნიერების უარ-ყოფა! აი რა ახასიათებს ჩვენებურ სოციად-დემოკრატებს. და სწორედ ამიტომ არიან იგინი საშიშარნი! ძნელია ბრმა ფატალისტებთან ბრძოლა!

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, სხვათა შორის მონურ უღელსაც. და ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენს ერს თითქმის სრულიად დაავიწყდა თავისუფლების სიტკბოება. მართალია მოძრაობას დროს მცირეოდნად იფეთქა ამ კეთილშობილურმა გრძნობამ, მაგრამ ხალხმაც და სოციალ-დემოკრატიამაც, რომელიც თავში უდგა მოძრაობას, დიდი შეუგნებლობა, პოლიტიკური უსუსურობა გამოიჩინეს: ეგონათ, ყვირილით მოვიპოვებთ თავისუფლებასო და ღრიალებდენ. მარტო ყვირილით, „ძირს“ ძახილით უნდოდათ გაენადგურებინათ მტერი!

რაზმელებიო? იკითხავთ. მაგრამ საქართველოში სწორედ რაზმელებმა დაიწყეს რეაქცია. მოძრაობის ნაყოფი, თავისუფლების ნასახი მას უკან გაჰქრა რაც რაზმელებმა იარაღი აჰყარეს ხალხს. სოციალ-დემოკრატიის ბრძანების თანახმათ რაზმელებმა დაბეგრეს ერი, მოსპეს თავისუფლება სიტყვისა, კრებისა და თავს შიშის ზარი დასცეს ხალხს. ერთი სიტყვით, რაზმელები სოციალ-დემოკრატიითურთ შეიქნენ ახალ მთავრობად.

დიაღ, ამ გვარია სოციალ-დემოკრატიის პრინციპი, ბატონობა, დისციპლინა, სოციალდემოკრატიული სახემწიფო, ე. ი. პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრალიზმი, აი შემადგენელი ნაწილები ამ პრინციპისა.

და რა საკვირველია, რომ ამ უმსგავსო პრინციპების აღმსარებელი პარტია უარ-ყოფდეს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მეტადრე საქართველოსთვის არ ემეტებათ ამ ვაჟბატონებს პოლიტიკური თავისუფლება! „ძირს ავტონომიაო“, „ძირს სეპარატიზმიო“, „ჩამოშორებაო,“ გაიძახოდენ. არც კი რცხვენიათ! პოლიტიკურ დამოუკიდებლობას „სეპარატიზმს“ „ჩამოშორებას“ ეძახდენ მეტტერნიხი, ბისმარკი, კატკოვი, გრინგმუტი და მსგავსნი მათნი. ასეა: „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს“. ხსენებულ პირთა პოლიტიკური პრინციპი დიდად არ განსხვავდება სოციალ-დემოკრატიული პრინციპისაგან: ორსავე ცენტრალიზმი უდევს სარჩულად, ორივე ქადაგებს, რომ ცენტრი უნდა იყოს ბატონი და მბძანებელიო. და აკი ქართველი დეპუტატი კარლო ჩხეიძე ტიმოშკინს მიემხრო პოლონეთის ავტონომიის საკითხში?!

დიაღ, „ძირს საქართველოს ავტონომია, გაუმარჯოს ცენტრალიზმსო“, ეს ლსახავი, სამარცხვინო ძახილი შეეფერება მხოლოდ სულ-მდაბალ, დაცემულ და დაჩაგრულ მონებს. და ჩვენ რომ სირცხვილი დაგვემართა, ისტორიაში უმაგალითოა.

მერე ვინ არის მთავარი იდეოლოგი, ლიტერატურული გამომხატველი ამ უცნაური თავის დამცირების, სამარცხვინო მონური მოძღვრებისა?!—

ჟურნალისტის ვიგოვარეობა

ზემოდ ხსენებული მწერალი, სულით დ ხორცით მწირი და გლახაკი. აი აგერ ახლა წავიკითხე მისი წერილები საქართველოს შესახებ. წერილები, რასაკვირველია ცარიელი აბდა-უბდა იყო, ამიტომ ამ ნაგაკის ქექა მეტად მიმიმაჩნია, და მხოლოდ ერთ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს (!) შევეხები.

პოლონეთს აქვს უფლება ყავდეს თავისი ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რადგან აქ ეროვნული ბურჟუაზია არსებობს; და, რადგან ქართველ ერს თავისი, ეროვნული ბურჟუაზია არა ჰყავს, მაშასადამე, არც ეროვნული, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა იყოსო. აი მთავარი აზრი მისი წერილებისა. მაშ, სჩანს, თვით ეს-დეკი გამოტყდა, რომ სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიული პარტია არის, რადგან იგი მხოლოდ ეროვნულ ბურჟუაზიას უნდა დაემყაროს და არა ხალხის ან პროლეტარიატს!

ოჰ, საცოდაო გონება! რა უბედურია ის პარტია, რომელსაც შენ წინამძღვრობ! მაგრამ მწამს, საქართველო ისე არ დამცირებულა და არ დაკნინებულა, რომ შენებრ უსუსური მწერლის გონებრივ საზრდოს დასჯერდეს და შენისთანა ლილიპუტების ღალატს ვერ გაუძლოს!

ვ. წ.

მიშა ჩერქეზიშვილს

—

შენ იყავ წრფელი, ჩაგრულთა ლალა;
იმათი ტანჯვა გულსა გიკლავდა,
შენ იყავ მარად მათი მფარველი,
მათ სიყვარული გულსი გიწყლავდა.
ებრძოდი ყველას სიმართლისათვის,—
ბოროტებასა მუსრავდ მარად,—
არად აგდებდი მოყვასთა კიცხვას,
არც თუ მტარვალთა, ხადიდი ჩაღლად
და წინ მამაცად შენ მიიწევდი:
ხალხთ აღსადგენათ ხელ ჩაკიდული,
რომ აღგედგინა ძმობა, ერთობა...
მხოლოდ იმისთვის გიძგერდა გული;
მათ გმინვა კვნესას შენ ვერ ითმენდი,
დაგჩემდა მწარედ სულის კვეთება;
მით დაგვიობლე ჩვენი სამშობლოს
აყეავება და საქმის კეთება!
მაგრამ მშვიდობით, მშვიდობით მიშო,
შენი ნაშენი არ დაიქცევა
და ჯერ დროებით მიძინებული,
კვლავ გაიღვიძებს, ზე აღიწევა.
თუმცა კი მაშინ არ გვეყოლები,
მოგვაგონდები, მოგიძღვნით ქებას,
არ დავივიწყებთ ყრმაო მუშაკო,
შენსა სიყვარულს, შენსა ხსენებას.

დ. გაბრუაშვილი.

ქართველის ოჯახი

—

ქართველ ოჯახში ბინდის დროა.

დიასახლისი ჩაის ამზადებს, მამასახლისი-კი—გაზეთში პოლემიკას კითხულობს.

ამ ოჯახის შვილი, გერი დიასახლისისა და მამასახლის ალალი, სახელად „მიშა“—ახლა ასე უწოდებდნენ, დედის დროს კი მიხაკოსა — იზეპირებდა Отче нашъ-სა.

გადასდო წიგნი, ალბათ იმიტომ, რომ მობეზრდა Отче нашъ-ის თუთუყუშივით გაზეპირება მისთვის გაუგებარ სიტყვებისა.

— მამა!.. შენ იძახი ხოლმე: „ეს ქალაქი დედა ქალაქია ჩვენ ქართველებისაო“...—შესწყვიტა და აღარ განაგრძო შვილმა, რა გადახედა დედისნაცყალსა.

— ჰო, მერე შვილო!?—კითხვის შეუწყვეტლივ შაეკითხა მამა.

— მაშ სასწავლებელში სულ რუსულად რათა ვსწავლობთ? ჩვენ ხომ რუსები არა ვართ? აი, სომხები სამღვთო რჯულსა რუსულად არა სწავლობენ? მეც ხომ „მამაოჩვენო“ ვიცი, მაშ რაღათ მინდა Отче нашъ-იც ვიცოდე?

— ეგ, შვილო, თქვენ Законъ Божій-ს მასწავლებელ ვოსტორგოვსა ჰკითხე... — განუმარტა მამამ.

— ემანდ შენთვის დაეგდე და გაიზეპირე Отче нашъ, თორემ მე თქვენ გ ჩვენებთ...—ჩაკმენდინა ხმა მამა-შვილსა დედინაცვალ-დიასახლისმა.

ს. გლახაშვილი.

ფერი ფერსა...

—

ივანიკა. უცნაური ამბავია სახელმწიფო დუმაში. თუ პოლონელმა დეპუტატებმა სთქვეს თავიანთი ქვეყნის ვარამი, მემარჯვენეებს ცოფი მოსდით. და როცა ჩვენი დეპუტატები წამოგვესარჩლებიან, მაშინ სიცილს ასტეხენ.

ნინიკა. მეც ეგ არ მიკლავს გულსა!.. კაცო, ის ჩვენი დალოცვილი დეპუტატები „ეშმაკის მათრახის“ მასხარები ხომ არ არიან?

ივანიკა. ჰო და რა გგონია! „ეშმაკის მათრახსაც“ განა ეგრე არ მოსდის, მოყვარეს რომ გულს უკლავს და მტერს აცინებს?

ვტირი.

—

ტკივილისგან, როგორც გიჟი, ვყვირი, ვყვირი...
მიტომაც გთხოვთ, ნუ იცინით, როცა ვტირი.
თქვენ იცნით, სიამოვნებთ, მე კი ვტირი!
ვერ უყურებ, მოიშალა ჩემი სტვირი?!...
მეც კი მინდა, რო დავატკბო თქვენი სმენა,
მაგრამ უნდა გადავყლაპო ჩემი ენა!
უნდა ძალა უნებურათ შევკრა კბილი
საწამლავი მოგაწოდოთ არა ტკბილი!
აბა, რა ვქნა! მიბრძანებენ: ჩუმა! ჩუმა!..
ამან მომკლა.. და მეტყველი დამადუმა!!
ნუ იცინით, მირჩევია, როცა ვტირი...
თქვენც დაადუნეთ ჩემთან ერთათ დრომდის (პირი!...
იქნებ, მალე გავიცინო თქვენთან მეცა.
სულ მრისხანე არ იქნება ჩვენთვის ზეცა!!.

თომა პუსა.

შთაბეჭდილებანი

I

უკულმართი ლექტორები.

—

როცა მითხრეს ბ. ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციებს ქართულ იუმორზეო, ძლიერ გამიხარდა, მაგრამ რა განცვიფრებაში მოვედი, როცა გაზეთის განცხადებაში სრულიად მოულოდნელად წავაწყდი სიტყვებს „რუსულ ენაზე“.

როგორ ბ. ნაკაშიძეც!?

ამას წინათაც ჩამოვიდა ახალგაზდა ლექტორი და რიხინად თქვა—რასაც მე პირადად გულწრფელად ვუჯერი—ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მოკვლამ მაიძულა მომეშურებია საქართველოსთვის, რათა ამეხსნა თანამემამულეთათვის საჭირ-ბოროტო კითხვები... და საკვირველებავ!.. ქართველ ერს თავის გულის ნადები რუსულად გადასცა...

პროფესორი ა. ხახანაშვილი ჩამოვიდა თბილისში, საქართველოს „გულისა გულში“ და ქართულ მწერლობის შესახებ ლექციები რუსულად წაიკითხა...

ბ. ე. თაყაიშვილი, რომელშიაც საოცნებოდ შეერთებულა გურული სიმკვირცხლე და ქართლული სიდინჯე, ხიბლავდა, როგორც გადმომცეს, თავისი ლექციებით მსმენელთ; მაგრამ—დახეთ უკულმართობას—რბილისში, ქართველ საზოგადოებაში, საქართველოს ისტორია იკითხებოდა რუსულათ. იქნება მსმენელთა საზოგადოება ჩვენში სხვა და სხვა ერებისაგან შესდგებოდა? თქვენც არ მომიკვდეთ! ცხრა-მეათედი მაინც ისევ ქართველები ვართ!

წაიკითხა აგრეთვე ლექცია მ. გედევანიშვილმა, უკაცრაოდ, გედევანოვმა, და რავდენადაც საინტერესო იყო ლექციის საგანი და თვით გადმოცემა მისი, იმდენად სამწუხარო იყო იგი, რადგან რუსულად იყო წაკითხული.

მაგონდება ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და მრავალი სხვა ღენერლები, რომელთაც, როგორც პირზე, ისე გულშიაც—ღალატს ვერ შევწამებ ასე ადვილათ ადამიანს,—სამშობლო ჰქონდათ, მაგრამ ხელით კი... მკითხველო, საით იქნევდნენ ხმალს არ გვახსოვს? ღენერლების შეცდომამ ჩვენ ვერაფერი გვავნო, რადგან ხმალს დაძალება შეუძლია დროებით, მხოლოდ გადაგვარება, ერის გაწყვეტა მხოლოდ და მარტო კულტურულს ძალას შეუძლია. ჩვენ ისეთი მტერი ახლო არ გვახლავს, რომელსაც იმდენი კულტურული ძალა მოეპოვებოდეს, რომ ჩვენზე მოაცდევინოს თავიანთ ძალოვან მუშაკთ და თუ ჩვენ თითონვე არ გამოვიჭრით ყელს, ვერავინ ვერ გადაგვაგვარებს.

ძალიან კარგათ ვიცი—წინათაც მოგახსენეთ—რომ ვერც ერთს ზემოთ ჩამოთვლილ პირთ ვერ დავწამებთ განგებ ღალატს, სურვილს სამშობლოს გადაგვარებისას: მათი შეცდომა ბოროტი განზრახვა კი არ არის—ეხლანდელი დაბნეულობის ბრალია.

საქართველოს დედა ქალაქში, ქართულ აუდიტორიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლექციას რუსულ ენაზე ქართველ ლექტორისაგან. ეს ისეთი მარტივი და საღი ჭეშმარიტებაა, რომ მაგის მტკიცება სრულიად მეტი უნდა იყოს, მაგრამ რას იზამთ, როცა ამ უკულმართ დროს ქეშმარიტების მტკიცებაც და მრავალ გზით განმეორებაც დიაღაც საჭირო შეიქნა.

ეროვნული თვით შეგნება, ეროვნული კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირა და ეროვნული მთლიანობა ქართულის ენის განმტკიცებას და შესის'ლ-ხორცებას თხოულობს და თქვენ კი...

ჩაუკვირდით, ბატონებო, რას ჩადიხართ, ვის პროგრამას ავრცელებთ, ვის უწევთ სამსახურს!?

ნ ლორთქიფანიძე.

ქართველი ქალი.

—

ოსმალელმა ქართველ ქალსა
შემოჰფიცა სიყვარული,
ჰკადრა—„ტურფავ, ცეცხლის ალსა
შენ მიეცი ჩემი გული;
დამეკარგა სულ იმედი,
ცრემლიც ბევრი დამედინა,
მოწმად დომყავს მუჰამედი,
მისი მეკკა და მედინა!!—
რუსმა ჰკადრა—„ფრთხილად ქალო,
ურჯულომ არ შეგაცდინოს,
მასში რაა სატრფიალო,
ჰქეიფობს და არ სვამს ღვინოს!
შენს სიტურფეს, გულის ძგერას
დააფასებს იგი განა?
შენ დაგაჭკნობს ვარდისფერას
მის უმზეო ჰარამხანა.
ტურფავ, ჰნახე ჩემი მხარე,
ჰნახე როგორ მიიშლება
მის სივრცეზე მოელვარე
დასავლეთის მონათება;
ამ შუქითა მოკაზმული
შეიქნები ბედნიერი,
ქალო, ჩვენ გვაქვს ერთი რჯული,
ერთი უნდა გვქონდეს ჭერი “—
ქალმა ბრძანა: „დამეხსენით,
ორივესა გიცნობთ კარგათ,
ნდობა წმინდა, სავსე ლხენით,
ორთავესა დაგეკარგათ;
დღე არ მახსოვს აქამდინა
ულრუბლო და უბურუსო,—
არც მეკკა მწამს, არც მედინა,
და არც შენი ფიცი, რუსო...“

გიორგი მვაზავა.

ქიზიყური შაირი

—

შახნაზა მქვიან სახელათ,
გვარად მენთეშაშვილია,
მამასახლისათ ვიყავი,
მქონდა ცხოვრება ტკბილია.
სახლი გავჭიმე სოფელში,
ცა არ მიმაჩნდა ქუდათა,
მედუქნე ტიტიკო იყო
ჩემს ავან-ჩავან კუდათა!
ეხ, რა მიჭირდა, ვიყავი...
დოინჯი გვერდზე მეყარა,
ქათამი, ბატი, საღვინე
ჩემს წინ ბზესავით ეყარა!
მაგრამ რა გითხრათ, რაც შხამათ
ამომადინა სოფელმა,
ერთობამ წელში მომღუნა,
ერთობამ დასამხობელმა!
მიანგარიშეს, წამართვეს
სახლი და ქამარ-ხანჯალი,
ჯინჯილიც ჩამომაცალეს,
დამაწყებინეს ჩანჩალი!
ლიდხანს ვიარე მშიერმა,
მაგრამ დრო შემოტრიალდა,
ხალხის ერთობა ჩემს ილბლად
წავიდა გ'ცატიალდა!
მეც გამოვცოცდი სოროდამ,
დამიდგა ღრო და ხანია,
ვსთქვი ახლა გასჭრის, თუ გასჭრის
შახნაზა ბიჭის ძალია!
კურთხევა ღვდლიდამ ავიღე,
მიშოს რომ ეძახიანო,
სანდროსაც წაუჩურჩულე:
ღამე არ დაიგვიანო!
მივყე სოფელსა კომლ და კომლ,
ვისიც მემართა ვალები
ციხეში გადავასახლე,
სხვა და სხვა დავდე ბრალები!
აქ მომეშველა ფეხ-მართალს
კოჭლი ლევანა ჩვენია,
ყარღაჩელ საქულ-ყარდაშის
გვირგვინის დამამშვენია!
შევკარით ზავი ხუთ კაცმა,
მე, მიშომ, სანდრომ, ლევანმა,
ტიტიკოც ჩვენი ძმა არის
იმის არ გამოლევამა!
ქიზიყი უნდა ავიღოთ,
მე აქ ვაპირებ შახობას,
მიშოს ვპირდები ჩემთავათ
საბლაღოჩინოს დაპყრობას!
სანდრო ღვდელი კი მიიღებს
მსუქან ადგილზე ღვდლობასა,
ტიტოს დუქანში გადავკრამთ,
მით დაუმტკიცებთ ძმობასა!
მეფე ვარ, მეფე ქიზიყის,
ყველგან ღია მაქვს კარები
და ამ უძაღლო სოფელში
„ძაღლებით“ დავიარები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადი არღუთაშვილის ასულის სურათი
მერი კაზაკის (კნ. მ. ვ. ერისთავისას) ნახატი.

„მუშაობა“ თბილისის სალახში.

ექიმი. უკაცრავად „ამხანაგებო“, ძრიელ კი ხართ „საქმეში“ გართული მაგრამ, ერთი „გაისარჯეთ“ და ხალათი ჩამაცვით!

ეროვნული ხელოვნება.

ილია აბაშიძე.

მგონი, რომ მალეც მეკიდოს
გულზე ტემლაკი, ჩინია,
ღვთის მადლით დავიმსახურებ,
მისთვისაც შემწევს ნირია!
ისწავლეთ, ქიზიყელებო,
რა შეუძლიან ენასა,
იმას უმადლი მე ამ გვარსა
ჩემს ილბალს, ბედისწერასა!

ლაბლაბო.

უვარგისი გაჯანლლო

—

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, ანდრე შენიე ჩამოსალჩობად მიყვანდათ. გზად ბებერი მათხოვარა შემოხვდა, შეეცოდა და ანდრემ ოქროს ფული, ბაჯანღლო გადაუგდო. მათხოვარამ ფული აიღო, მაგრამ ხმა არ ამოიღო მადლობის გადასახდელად.

— დიახაც მართალია—სთქვა მწერალმა—ეგ ფული ეხლა ჩემთვის გამოუსადეგარია და გამოუსადეგარის მიცემისათვის მადლობას რად მეტყოდაო! მადლობის ღირსია ის, რაცა რადმე მიღირს...

ჩვენ ახალგაზდა მემუსიკეთა შორის, საზოგადოების ყურადღება მიიქცია ვიოლონჩელზე დამკვრელმა ილია აბაშიძემ, რომლის პირველი კონცერტი დანიშნულია ამ თვის 27 მუსიკალურ საზ. დარბაზში. ილია აბაშიძე დაიბადა 1884 წელს 24 მარტს გურჯაანში (ქიზიყში). რვა წლისა სათავ. აზნ. გიმნაზიაში მიაბარეს. მეოთხე კლასში იყო, როცა ვიოლონჩელზე დაიწყო სწავლა. 1902 წლიდან აქაურ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა. ორი წლის შემდეგ დაასრულა იგი ცნობილ მევიოლონჩელე პოლივკას ხელმძღვანელობით.

იმავე წელს საკონკურსო გამოცდით მიღებულ იქმნა მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორი ფონ ბლენის კლასებში.

იმავე დროს მოსკოვის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

1905 წელს გაემგზავრა ლეიპციგის (გერმნიაში) კონსერვატორიაში, სადაც გამოჩენილ პროფესორ კლენგელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ცეკვა ხანჯლებით—ადოლფ ბრუტის ქანდაკი.

მისწრაფება—ბოდენკაუზენის ნახატი.

მოწაფედ იყო. ერთი წლის შემდეგ გადავიდა პრაგაში (ჩეხიბოღემიის დედაქალაქია ავსტრიაში) და პრაგის კონსერვატორიის ცნობილ პროფესორთან ბურიანთან მეცადინეობდა და კერძოთაც ბაკვეთილებს იღებდა. კონსერვატორიის სრული პროგრამა მასთან დაასრულა.

საზოგადოთ ახალგაზდა ვიოლონჩელისტი ბევრს ცდილობდა, რომ შესაფერი მუსიკალური განათლება მიეღო და ტეზნიკა შეესწავლა. ეჭვი არ არის, თუ პარიზშიც, სადაც კონცერტების შემდეგ მიემგზავრება, ჩვეულებრივ მუყაითობას და ცნობის მოყვარეობას გამოიჩენს, ილია აბაშიძე სერიოზი მემუსიკე დადგება და იმ ღვთისაგან მომადლებულ ნიჭსა და გემოვნებასთან იგი შესაფერ ადგილს დაიჭერს მემუსიკეთა შორის და ჩვენს ნორჩ ეროვნულ ხელოვნებასაც დასდებს თავის მადლიან ღვაწლს.

ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება სიხარულით დაესწრება ახალგაზდა ვიოლონჩელისტის კონცერტს, როგორც აქა, ისე ქუთაის, ფოთსა და ბათუმში, სადაც იგი აპირებს კონცერტების ბამართვას გზა და გზა პარიზში წასვლამდე.

რათა?

ერთი. ყველაზედ მეტი შვილები ღვდლებს რათა ჰყავთ?

მეორე. ღვთისგან დალოცვილები არიან.

ერთი. მარტო მაგიტომ?

მეორე. შეძლებაც შესწევთ...

ერთი. კიდევ?

მეორე. რას ჩამაცივდი! მართალი გინდა გითხრა?.. კიდევ იმიტომ, რომ თავისუფალი დრო მეტი აქვთ და მაშ სხვა რა გააკეთონ?!.

ბე—კა.

მახმედ ხან სალტანე.
სპარსეთის მეჯლისის (პარლამენტის) თავჯდომარე.

პროვინცია.

ახალციხე (აქაური რამე-რუმე). დიდი ხანია აქაურ თამბაქოს ქარხნის „სვეტ“-ის შესახებ ბევრი უცნაური ამბები ისმოდა... საქმენი ხდებაო „სანიშადუროვო“... მართლაც, ამ ერთის თვის წინედ

მუშები დაითხოვეს და მათ ნაცვლად მცირე წლოვანი ბავშვები მიიღეს და დედაკაცები.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „ქეიფს“ გასწევდნენ ზოგიერთი კატასუნა და მსუნაგი ვაჟბატონები.., მაგალითებმაც მალე იჩინეს თავი.

ერთს ვაჟბატონს პ—ე ს—ევს თვალში მოსვლია ერთი ქვრივი დედაკაცი „ხანუმად“ წოდებული და... აბა წინ რა დაუდგება მსუნაგს პ—ეს!.. თურმე მალე შეისრულა თავის პირუტყვილი განზრახვა. ეს შეიტყეს მუშებმა, ქალებმა და ვაჟებმა და ერთი ალიაქოთი ასტყდა... დედაკაცი გააძევეს, მაგრამ განა ერთის გაძევებით შეიძლება მეძავი ვაჟბატონების ალაგმა!

ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ მცირე წლოვან ბავშვებსაც მოელის განსაცდელიო, თუ კი უკვე არ მომხდარაო...

ჯერ ეს გაბრთხილება იკმარონ და მერე ვნახოთ,..

ამას წინად აქ მოტყუებით გაიყოლეს ერთი ყმაწვილი კაცი და გზაში მძიმედ დასჭრეს და მერე ხევში გადააგდეს მკვლელები მიიმალმენ. გამოძიება სწარმოებს.

დიდი დანაკლისია აქაური მუშა ხალხისათვის, რომ ყველასათვის ხელმისაწდომი საზიარო ბიბლიოთიკა-სამკითხველო არ მოგვეპოება. ნეტა რას ფიქრობენ ჩვენი მოწინავე პირები, რომელთაც თავი მოაქვთ, ვითომ და ქვეყნის ჭირისუფლები ვართო და მუშების გზის მაჩვენებელნი და სულის მაცხონებელნიო.

ყარამანი.

ხონი (ჩვენი აგ კარგი). რაც ხონში სასწავლებლებია, მგონი, სხვა ქალაქებშიაც არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ძლიერ ნაკლებათა გვაქვს გონების გასართობი დაწესებულებანი—თეატრი და სამკითხველოები.

გვქონდა ერთი ფიცრული შენობა, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, მაგრამ ეხლა ამ ფიცრულ შენობასაც გვისპობენ; საქმე ის არის, რომ ხე-ტყის პატრონი, რომელსაც ფიცრები გამოართვა თეატრის ამშენებელმა, ფიცრებს უკან თხოულობს, რადგან ფული სრულად ვერ გადაუხადეს. .

სწორედ სარცხვილი კია ხონელებისთვის, რომ დღემდე ვერც ერთი სახეირო შენობა ვერ გაუჩენიათ თეატრისთვის და ეხლა ზედ მეტი ამ ბალაგანსაც გვართმევენ..

აქაური ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჯერ-ჯერობით მუშაობს, ხოლო თუ საზოგადოებამ ამაზედაც ჩვეულებრივი გულგრილობა გამოიჩინა, ესეც მალე დაიკეტება და ამდენი ხალხი მშრალზე დავრჩებით.

ბატონებო, ფულიანებო და უფულებო! იფიქრეთ რამე თეატრზე და სამკითხველოზე!

ალგიგ ნ[illegible]

დ. ცხინვალი ეხოსავით სულ თავისკენ თლიან!

ბ-ნო რედახტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ფირმანთან ერთად პატარა კოჭობი „ნიშადურიც“ მომაწოდოთ, რომ კუდის რიკი აუწვა იმ პარტიის ვაჟბატონებს, რომელნიც მინდობილი ხალხის ზურგზედ ოდესმე მალაყებს გადადიოდნენ და, ამ შექცევას დაჩვეულები, დღესაც არ იშლიან. წარსულ დეკემბრის და იანვრის უქმეებში ორი წარმოდგენა დაიდგა რომლის შემოსავალი უნდა მოჰხმარებოდა საკუთარ სცენის მოწყობას, ბიბლეოთეკას და საკუთარს შკოლის აშენებას. ცხინვალელების სასახელოთ უნდა ვსთქვა, რომ ამ საერთო საქმისათვის არა დაიშურეს-რა: ზოგი ადგილის დათმობას დაჰპირდა, ზოგი საშენ მასალას და გარდა ამისი ორი წარმოდგენიდან ოცდა ორი თუმანი ფული დარჩა. ეხლა გვესმის, რომ ჩვენი „ჭირისუფლები“ ძალაობენ და გაიძახიან—ფული პარტიისთვის უნდა მოგვცეთო! გეყოთ, ბატონებო, რაც პ.რტიის სახელით ჭირის ოფლი ალვრევინეთ ხალხს!.. აკმარეთ, დაასვენეთ თორემ თქვენს უტვინო თავზე ცა მრისხანედ გრგვინვას იწყებს და ნიაღვარი წალეკვას გემუქრებათ...

ძველი ებრაელი.

ჭიათურა (გამოსაცნობი გამოცანა). ვინ არის ჩვენს ჭიათურაში ისეთი კარგი ადამიანი, რომელსაც დაერქმევა: „ექსპორტიორი“, „ექსდოსტავჩიკი“, „რეპორტიორი“, „ადმინისტრატორი“, „ბუფეთჩიკი“, „სკანდალჩიკი“, „ჩამსმენჩიკი“ და არის წევრად აქაც, იქაც და იქეც... ფულს არ სესხულობს და თუ ისესხებს პროცენტს საიქიოს პირდება. მუშებს ცნობს, რადგან სულ გაურბიან... ყალბი კვიტანციების გაკეთებაც ეხამუშება... სიეზდში სულ არ დადის და თუ შევიდა „ტრებოვანიაც“ არ უნდა, ისე აიღებს სხვის სახელით ფულს. რომელ ქალაქში გინდათ, რომ მას ვალის აგენტურა არ ქონდე...

ბიჭი-ბიჭი.

მოკლე და სხლარტი ამბები.

—:—

სიღნაღი აქაური ჯო-რები გაიფიცნენ, წყალს ველარ მოვაწვდით მცხოვრებლებსაო, რადგან წყალის გზა ისეც თავდაღმართია და ამასთანავე ნიაღვრისგან დახრამულიაო. „გალავამ“ რამდენიმე ჯორი დააპატიმრა, რადგან შეეხნენ ამის არ მაქნისობას.

ბაქო. ქართული საღამო „წ. კ. საზ.“ ფირმით გაიმართა, მაგრამ სახრავი სხვა დაწესებულებას ეკუთვნის. იმ ხუთას მანეთის გარდა, რომელიც ქუთაისის სახალხო სახლისთვის გამოაკლეს, ამბობენ კიდევ ამერიკაში უნდა გაგზავნონ რამდენიმე მანეთი იქაურ დამშეულთა სასარგებლოთო. მმართველები დიდს მადლობას იღებენ ყოველ დღე როგორც წერილებით, ისე დეპეშებით.

ბაქო. კახელებს გაუგიათ ბაქოში ღვინოს ფასი აქვსო. ბრალიანი და უბრალოს მოაქვს ღვინო გასასყიდათ. ბოლოს ისეთი საქმე ხდება, რომ ღვინოს ნავთში სცვლიან პირდაპირ საწყაოთი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ნავთს არ იმეტებენ. ამბობენ კახეთში ღვინის ფასი უფრო იწევს მაღლა, რადგან ჩვენ თვითონ ჩვენის ფეხით მიგვაქვს, ღვინო და ვეხვეწებით: — იყიდეო!..

იქიდანვე. ამ დღეებში ისევე გადაუწყვიტეს ოთხის თვით აბანოში ყოფნა — ბანება ფირმა „მელაანის“ „პოდლოღების“ გამო. ამბობენ საზ. „კახეთიც“ უპირობს თავის თანამგზავს ფირმებსაც ასე გაუმასპინძლდეს, მაგრამ იმედეულობენ, რომ საზ. „კახეთის“ გამგეობა ერთობ გულკეთილია და არ აკადრებს მათ ასეთს შეურაცხყობასო.

იქიდანვე. ამბობენ აქაურ არტისტ-მეცირკეებს გადაუწყვეტიათ ლამაზ ქალების გამოწერა ბილეთების დასასყიდათ.

სიღნაღი. აქაური მამლები გაიფიცნენ. სამი კვერცხი ორი შაურია. მათს წინააღმეგ ზომებია მიდებული.

ვეჯინი. არშაკა და ეშმაკიშვილი წაჩხუბულან ერთი ერთმანერთს ჯიბრით სარგებელს დაუკლეს. ეხლა იღებენ თუმანში მხოლოდ თოთხმეტ შაურს და ტკბილს ჩაუს ოთხ აბაზათ ($1^1/_2$ ვედროა).

ველისციხე. დაშნაკცაკანის პარტიამ უარი განაცხადა მუშაობაზე, რადგან ამირხანოვს ფულები შემოაკლდაო.

თელავი. აქ გადასწყვიტეს ახალი კასის დაარსება. ვინც ბევრს ღვინოს დალევს ჯერზედ, პრემიას ის მიიღებს.

თელავი. აქაურ ადმინისტრაციამ გადაწყვიტა სულ „ნასწავლი პრავიტელსტვენი სტარშინები“ დანიშნონ, რადგან თვით წერა და კითხვა საკმაოთ არ იციან და ვერ მიდიან იოლათ სოფლის არჩეულ მამასახლისებით.

წინანდალი. აქაურ ბოქაულს გადაუწყვეტია „ბუკნა-ლეკურის“ სკოლა გამართოს, რადგან ამ ბოლო დროს თავადიშვილები დაქვეითდნენ ამ ხელობაშიო.

ელიბო.

კაკაბეთი (უფიტობის წინააღმდეგ). კაკაბეთის საზოგადოებას აქაურ მღვდლების თაოსნობით შეუკრებიათ ფული, გაფლანგული სკოლის შენობის მასალა, აუშენებიათ ერთ სართულიანის მაგივრად ორ სართულიანი ვახლი და სამრევლო სკოლის მაგივრად ორ კლასიანი სკოლა გაუხსნიათ სამეურნეო განყოფილებით. აუარებელი მოსწავლენი დადიან თურმე და სკოლის ორთავ სართული გაჭედილაა. ვის უთავნია, — არ ვიცით. უნდა კი მოგახსენოთ, რომ დიდი თავისა და ჭკუის პატრონი უნდა იყოს, ვილაც არის, თუ ეს მართალია. მე კი არა მჯერა და თქვენი კი რა ვიცი.

ტეტიას შვილის შვილი.

ეძღვნის „ეშმაკისტებს“
(ექსპრომტი)

—

ქარმა ფრთები გაიქნია,
შეარყია მყრალი გუბე;
ბოროტების ხვაშიადსა
გაუქექა ბილწი უბე.
გველი გველსა დაეტაკა, —
ვერ უცვნიათ ერთმანეთი;
აიშალა სიბინძურე,
აიშალა ბაყაყეთი.
ჰსურთ ქარისა დამარცხება,
მიტომ ნესტში მოძვრებიან,
მ გრამ სუბთა სიმშრალეზე
ვერა სძლებენ და ხმებიან!..

იოსები.

ხოტბა უკულმართებისადმი

—

ტვინ ღიტინა, ჭკვა ცერცეტა,
ცრუ ნასწავლი, უსწავლელი,
პირ-გაჟღენთილ მტრობითა,
წარა-მარად უქმად მსვლელი;
მშრომელ გლეხთა მეტი ხორცი,
შემჭმელი და გამყვლეფელი,
სულის მამად წოდებული
ფერით კრავი, სულით მგელი;
ყაჩაღთა ბრბოს მეთაური,
გზებზე ხალხის გამძარცველი,
გულ-გონებით გაყინული,
შავ-ბნელთ ძალთა მარად მცველი;
ხელ-კეტიან, თავრეტიან —
ღორ-ხბოსავით უცხოდ ჭრელი.
მტრების გულის ია-ვარდი,
თავისიანთ ყელის მჭრელი, —
შეერთდა და შეკავშირდა,
შეჰკრეს პირი საკვირველი
და თავიანთ უჯიშობით
საქმენი ჰქმნეს საკიცხველი, —
ბასტი-კუკუ დაუარეს,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა,
ჯაშუშობას ხელი მიჰყვეს,
შეურცხვინეს ერსჭაღარა!..

იუსუფ ოღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვერაგობა, ჯაშუშობა მეტოქესთან გამოგდების“
ორესტ სემინის აფორიზმი.

* * *
(რუსულიდან)

გარედ ყინვაა... სულთქმა გაძნლდა,
თავ მაბეზარი ქარი გრიალებს,
მაგრამ აყვავდა გულში იმედი
და სიყვარული გულს მიტიალებს...
. . . . . .
. . . . . .
გამოზაფხულდა, აყვავდა ველი
მზე ირგვლივ შუქს ჰფენს, ბუნება ბრწყინავს,
მაგრამ ვერ იქმნა, გული ვერ გათბა
და სიყვარულსა სიცივე ჰყინავს!..

შალვა.

კაცი ის არის...

—

კაცი ის არის, ვინც თვის კაცობ-თ
გამოადგება სამშობლო მხარეს;
ვინც პირადობის უარ მყოფია
და თავს შესწირავს საერთო საქმეს.
კაცი ის არის, ვინც მართლის გულით
წინ აღუდგება უსამართლობას;
ვინც ყოველ ცუდსა, მრუდეს და მახინჯს
თავგამოდებით დაუწყებს გმობას.
კაცი ის არის, ვინც თავის თავსა
აღარ დაზოგავს ტანჯულ ხალხისთვის,
და იმის ბედსა უბედობაზე
იგი არ გასცვლის არაფრისათვის.
კაცი ის არის, ვინც გულ მრისხანეთ
დაჰგმობს სამშობლოს მოღალატესა,
არ შეუშინდა მძლეთა მუქარას,
ვინც ამ სოფლათა მართლი სთესა!
კაცი ის არის, ვინც სხვის ტკივილსა
თვისად მიიჩნევს და არ განკიცხავს...
უძლურს და სნეულს, დაავადებულს
შეივრდომებს, და თვითვე განკურნავს

ნ. დიდებულიძე.

იცანით, ნეტა ვინ იყო??

—

ნაგავში რაღაც შევნიშნე, კრუხივით მოკუნ-
ტულიყო.
კრძალვით და ზიზღით მივმართე, მინდა გამეგო
ვინ იყო.
მიველ გავსინჯე საწყალი, მისი სიცოცხლე კრულ
იყო...
თავ ლაფიანი და ურცხვი, ნაგავში მიმალულიყო;
აქინდაზისგან უბედურს, გვერდები ჩამტვრეულიყო,
შიშველ ფეხებზე დღე ნაკლებს, ხვინჭები ჩარჭმო-
ბილიყო,
თავის გრძელ კუდის წვერები თვის წელზედ მო-
ხვედრილიყო
და სამი შოლტი საქალმნე ტყავ ხორცით გადამ-
ძვრალიყო.

აქანდაზა.

**იყიდება წარსული წლის „ნიშადურის“ სრული კომპ-
ლექტი სუფთად დაკაზმულ ყდაში. ფასი 2 მან.**
წერ. კით. საზ. წიგნ. მაღ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— პეტრე, ვის დარაჯობ?

— ვისა და, შენი ჭირიმე, ჩვენ ცოციალებს, ჩვენ პატრონებს და განმათავისუფლებლებს, ოომ ყაზახ-რუსები არ დაეცნენ და არ შეაშინონ.

— მერე რა უნდა გახდეთ მაგ კეტებით ყაზახებთან?

— ცოტა ხნით მაინც შევიმაგრებთ, და მანამ ისინიც ტყეს ამოეფარებიან და თავს უშველიან.

— მგონი იარაღი გქონდათ, რატომ არა ხმარობთ?

— იარაღი, შენი ჭირიმე, ცოციალებმა წაიღეს ურჩ ქალების დასამონებლად.

— ჰმ! საით მიემგზავრებიან ეგ თქვენი თავგანწირული მეგობრები!?

— სხვა სოფლებში— აქ ყველაფერი გაანთავისუფლეს და მეზობლებთან მიეშურებიან.

— გაიძახი, გაგვანთავისუფლესო, აბა ერთი მიაიბე რაშია თქვენი თავისუფლება?

— აი, შენი ჭირიმე, დამიგდე ყური და ჩამოგითვლით ვინ და როგორ გაანთავისუფლეს:

ახალგაზრდა ქალები—ნამუსისაგან;
ოჯახი—სვინდისისაგან;
ჯიბე—ფულებისაგან;
კიდობანი—პურისაგან;
მარანი—ღვინისაგან;
წელი—ვერცხლის ქამრისაგან;
ბოსელი—საქონლისაგან;
საქათმე—ქათმებისაგან;
რჩხები—იარაღისაგან;
და ხალხი—ქართველობისაგან.

ვან—ჩი.

ლანჩხუთის ავარას

ერთი ამალ გაზდა არის
ჩვენს ლანჩხუთში სტუმრებული,
წინეთ ქალაქში ნამყოფი
დღეს სოფლათ მოვლინებლი.
ტანათ წვიტი, ულვაშ კოხტა,
გარეგნობით მხიარული,
ცოტა ბეჭში მოხრილია,
ტროსტით იცის სიარული.
დრუნჩიც სოციალისტს უგავს
გული კიდევ „ჰეშმარიტსა“,
არშიყია უცნაური...
ქალს ეძახის „მტრედს და ჩიტსა“.
ადგილს ეძებს რვა თუმნიანს,
ნაკლებიანს არ ყაბულობს,
აბდა-უბდა ბევრი იცის
და უაზროდ მედიდურობს...
ხეტიალობს ქუჩა-ქუჩა,
ილანძღება, ჭორს მივრცელებს:
ვითომ „პრინციპს“ ვღალატობდე
და მივსდევდე ძველთა ძველებს...
სოფლად გზავნის შიკრიკებსა,
რომ ავრცელონ ჩემზე ჭორი
ცილი მწამონ, მთათხონ, მლანძღონ...
თვით კი იყოს პროფესორი.
აფსუს, აფსუს ინტელ-ღლეიტო,
რაებს სჩმახავს, რაზედ სცდება!
ჭორ ტყვილების მოციქულსა
„ნიშადური“ არ ასცდება!..

„ხოშ-გელდი.“

ჩვენი დროის რაინდი

(ვუძღვნი Xს-)

მაგიდას უზის ჭაბუკი,—
ზე აღუპყრია თვალია,
სამშობლოს ხსნასა ოცნებობს,
ოცნებისაგან მთვრალია.
ხან შუბლს მეიკრამს, ხან კი მთლად
მოიღუშება,—მწყრალია;
ხელში უჭირავს კალამი,
დიახამც ლექსთ მწერალია.
კალმით და სიტყვით მრისხანებს,—
მძვინვარე ქარიშხალია;
მტარვალსა იწვევს საომრად,—
არჩობს სიბრაზის ალია...
საქმით კი... სოროს დაეძებს...
დასდის თვალთაგან წყალია,
მტერსა უძვრება კალთას ქვეშ,
დიაცზედ უფრო მხდალია;
ჯაბანი, მტრისა მორჩილი
მხდალთაცა შესაბრალია...
ასეთი შვილის მშობელი
უნუგეშოა, ცალია!..

ი. მჭედლიშვილი.

(კ—ი ნ—ნს)

მიტომ არ გეტრფი, რომ ხარ ლამაზი,
ქვეყნის მშვენებათ მოვლინებული,
ტანათ ალვის ხე, კოხტა, ნარნარი,
ია-ვარდითა შეზავებული;
მე არ მიზიდავს შენი თვალები,
ცეცხლ მფრქვეველები, ეშხით სავსენი,
არცა გიშრის თმა, წარბი, წამწამნი
და არც ვარდისა ტუჩი-ბაგენი.
მე ვეტრფი მხოლოდ შენს აზრს, შენს ფიქრებს,
მომწონს მე შენი—კეთილი გული,
ცხოვრებისაგან მრავალ ტანჯული,
რომ გიყვარს მოძმე ბედით ჩაგრული;
მიზიდავ იმით, რომ თანაუგრძნობ
ყველასგან დევნილ მაწანწალასა
და ქედს არ უხრი უსამართლობას,
არ ემონები ბოროტ ძალასა.

გ. ლადოშვილი.

სამართლიანი ჩივილი. ჩვენც ცხოვრებამ წარმოგვშობა, ჩვენც ცხოვრების შვილები ვართ; ჩვენ, ეგრეთ წოდებული ვაჭრები, (იზულისხმეთ წვრილი ვაჭრები) რომელთაც მხოლოდ ფირმა გვაქვს ვაჭრებისა ხოლო ეკონომიურად კი საშინელებას განვიცდით. რაც გაბვაჩნია, ყოველიეე ფულის პატრონთაგან გვაქვს აღებული, ყელამდინ ვალებში ვიფლეთ და პროცენტების ძღვას ვერ ავდივართ... მიუხედავათ ჩვენის ყოველის მხრით დაქვეითებისა, მაინც რა ხან ვაჭრები ვართ, მავნეებად ვართ მიჩნეული. მყვლეფელები, მატყუარები, ცხოვრების პარაზიტები, ეს არის ჩვენი მეტი სახელი. ყველა ჩვენ გვწიხლავს, ყველას ჩვენ ვყევართ აბუჩად აგდებული და ამავე დროს არა თუ შესაფერ პასუხს—ხმის ამოღებასაც გვიშლიან. მეტის მეტი უსამართლობაა ასეთი საქციელი და ნამეტნავად პრესის მხრივ.

მართალია ცხოვრებამ ყველანი კლასებად დაგვყო და კლასებ შორის გაცხარებული ბრძოლაა, მაგრამ განა ბრძოლა და მისი დედა აზრი უსამართლობის ნიადაგზედ უნდა იყოს აშენებული? განა უსამართლობა არ არის, როცა ერთის ხელის მოსმით ესა თუ ის გაზეთი მიწასთან გვასწორებს? არც ჩვენ პიროვნებას და არც ჩვენ ადამიანობას არაფრად აგდებს და კლასიური, „სოციალისტური“ ინტერესისათვის ქვეყნის მეტ ბარგად და რეაქციის ერთგულ მონებათა გვთვლის?! განა არ შეიძლება ეს თუ ის გაზეთი პარტიული იყოს და იმავე დროს სამართლიანობას, სწორ და მართებულ განმარტებას და კვლევა-ძიებას თუნდაც მოწინააღმდეგეთადმი უარყოფდეს! სამწუხაროდ, ჩვენში კი სწორედ ასეა: რაკი სხვა ჯგუფს ეკუთვნი უსათუოთ გასაკიცხი ხარ, რაკი რომელიმე პარტიას არ ეკუთვნი—მათი მავნე და ხორცმეტი ხარ...

აი ამიტომ, ჩემის აზრით, დიდათ საჭიროა და დროზედაც მოსწრებული, რომ ჩვენებურმა ჟურნალ-გაზეთებმა შეიგნონ ეს პეშმარიტება და თავიანთ ხერელე „პრიგოვორებს „თავი დაანებონ, ან არა და თითონ ეს ბრალ ვაჭრებმა უნდა გაიჩინონ საკუთარი ორგანო ხალხის სასარგებლად კი არა, არამედ ვაჭრების კაცური კაცობის, ადამიანობის და პიროვნების დასაცველად..,

ვაჭარი.

სამდურავი.

—

ეს დაწყევლილი წარსული წელი
იმდენათ იყო ცუდი და ავი,
რომ მომავალსაც მოესპო ჩემგან
მიგებება და მისალოცავი.
წარსულთა წელთა მასპინძლობაში
და მილოცვაში ამომხდა სული,
სამაგიეროთ მათდამი მტრობას
არა აქვს ბოლო და დასასრული!..
კეთილი გული, გაშლილი სუფრა,
რაც კი რომ ჩემგან შეიძლებოდა,
როგორც მონისგან დიდებულ ბატონს
ფიანდაზივით ფერხთ ეშლებოდა.
მაგრამ არ იქმნა!.. არაფრით მოლბა
გაქვავებული იმისი გული,
და გამუდმებით ისე მექცევა,
ვით ყრმას ბატონი განრისხებული.
ამ წარსულ წელსაც მოსვლისთანავე
კარებში დავხვდი მე ხილეულით,
შამოვიწვიე გაშლილ სუფრაზე
და დღე გრძელობა ვუსურვე გულით.
მაგრამ რა ვნახე! იმ წარსულ წლებზე
უნამუსო და უსასტიკესი
მასში არაფერს ადამიანურს
არ აქვს ადგილი!. არა აქვს წესი!
ჩემგან მისდამი ერთგულ სამსახურს
წინ მოაგება მტრობა და შური
სისხლით და ცეცხლით დაიგვირგვინა
მრავალ ხელთ ძმობა და სამსახური!
დასწყევლოს ღმერთმა მისი მოთრევა,
თავზე დაატყდეს ზარი და მეხი,
რომ ჩემს უბედურ კარ-მიდამოზე
მოსპობილ იყოს იმისი ფეხი'..

ნოშრევანიძე.

მწარე ნაყოფი

—

ღმერთმა დასწყევლოს ბოროტი,
ვერსაით გავიხარეთა!..
ესდეკურ ოინ-ხრიკებით,
ღლეები გავიმწარეთა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეინძრა მთელი ქვეყანა,
„ბუნტობენ“ შინ და გარეთა.
რაც ითავხედეს ბიჭებმა,
ბოლოს წ:ერთვათ მწარეთა,
ძმა ძმას უდგია ჯაშუშად,
მტრობა-შურს შავეყარეთა.
პატიოსნების შაბლონზედ,
გადავხტით—გადვიხარეთა.
სარჩო—რამ საბადებელი,
ვერაფრით დავიფარეთა.
გვეუბნებიან, ვინცა გძულთ,
გიბრძანებთ, შეიყვარეთა!..
თავს გვეცემიან, გვხოცავენ,
ცეცხლს გვიკიდებენ ღამითა.
ლანძღვა-გინებას გვიძღვნიან,
ჩვეულებრივის შხამითა!..
სიმართლეს ეტყვი, წუნს დასდებ,
„ტეროორი“ გიდგას განითა.
ბრიყვია—ტყვიას არ ზოგავს,
საქმეს სჭრის ღონით-ძალითა.
პატიოსნებას წიხლი ჰკრეს,
გაუდგნენ შორით, განითა.
ქვეყანა გაანადგურეს,
უვიცთ და უგნურთ ჯარითა!..
ზარმაცობს მუქთა-მჭამელი,
სარგებლობს სხვისი გვარითა.
გემუქრებიან, ფულს გთხოვენ,
და მდიდრდებიან ამითა.
ვინღა შებედავს ვარის თქმას,
ბოდიშით ანუ ძალითა.
ვიცით, რომ ძვირფას არსებას
მოგვიკვლენ ხანჯლით—დანითა...

ბომბა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

—

აქ ფეხი დავკარ თბილისში,
ბაქოს წკაპანი მოვიღე,
ზუბალაშვილის კასიდან
რამე ხარაჯა ავიღე.
თუმც სხვა საქმისთვის, მაგრამ მე
ფბილისს სახლებში გავიღე.
აქ „მოგზაური“-ც გამოვეც,
მაგრამ საჩუქრათ გავიღე...
გერ მეტყვი საქმეს ისეთსა,
რომ მე ხელში არ ავიღე.
მერე ქუსლი ვკარ თელავსა,
სული ნადიკვრად დავიღე
და ამდენ საქმის მომქმედმა
თან მხოლოდ „კასსა“ წავიღე!..

—:—

ძლიერ შეგთვისებიათ
ახალმოდის სენები,
ძველი მარტო ის შეგრჩათ,
რომ „ქალათ“ იხსენებით,
კარგი თუ რამ გაგაჩნდათ
ის, თქვენში ყველა გაქრა,
ახ:ლს ვეღარას მისწვდით
ძველი აღარა გაქვთ რა!

ჰორაციო.

—:—

(ქუთათურებს)

ქუთაისში იმყოფება
ერთი ვინმე ჩინოსანი,
უპირული, გაიძვერა,
ვითა მელა კუდოსანი.
მთავროობისა დიდი მონა,
ფულში მოძმის გამყიდველი,
ეხლა თქვენცა გამოიცნობთ,
მისი ცნობა არ არს ძნელი.
მე კი მანამ ამ გმირისთვის
გამოვიწერ „ნიშადურსა“
რომელიცა სწვავს და სდაგავს
კაცსა ამ გვ რ უკმაკურსა!

ალ. ჩახუნაშვილი.

ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ—ᲒᲣᲚᲘ ᲠᲘᲗ ᲛᲝᲚᲒᲘᲙᲚᲐᲝ

(პასუხის მაგიერი)

„დასაწყისის“ მე 14 №-ში ქ-ბნი ბ-ძისა სამედიატორო სამართალში იწვევს ჩვენ თანამშრომელ ბ-ნ ხეობელს და საბუთად ის გარემოება მოჰყავს, რომ ხეობელმა ცილი დამწამა, რადგან ჩემი მაზლის მოკვლას მაბრალებსო ღა სხვა.

საიდან სადაო, ჩემო საბაო!

ახირებული პრეტენზია, თუ გნებავთ, სწორედ ეს არის!

საიდან ამოიკითხა ნ. ბ—ძისამ ეზეთი პირახეული სიცრუე?!

ჩვენ დიდად გვეეჭვება, რომ ნ. ბ—ძისამ კითხვა იცოდეს და თუ იცის, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წაკითხულის გაგება არ ძალუძს.

ქ-ბნ ნ. ბ—ძისას გაჭიანურებულ წერილში თითქმის სიტყვა სიტყვით განმეორებულია ის, რაც ხეობელის წერილში იყო მოხსენებულ რაზმელების „მართლმსაჯულებაზე“ იმ მცირეოდენის განსხვავებით, რომ ხეობელი მართალსა სწერდა, ხოლო ქ-ბნი ნ. ბ—ძისა ამ მართალს ფერუმარილით და გუნდა-ლახუსტაკით ათვალთმაქცებს და აყალბებს...

ამ ჟამად ხეობელი აქ არ იმყოფება, იგი ორის ან სამის კვირით პროვინციაშია გასული და დაბრუნებისას თითონ გასცემს შესაფერ პასუხს ქ-ბნ ნ. ბ—ძისას; მანამ კი ვარწმუნებთ ქ-ბნ ნ. ბ—ძისას და მის უჩინ-მაჩინის ქუდში ამოფარებულ მოკურნახეთ, რომ ვერც ერთი სამართალი და მოსამართლე, თუნდაც ისეთი სწორ-უპოვარი, როგორიც ბრძანდება მის მიერ დასახელებული მ-ნი ივ. კაჩუროვი, იმას ვერ ამოიკითხავს ხეობელის წერილიდან რასაც ჩვენი ცოფ-მორეული მეტოქენი კითხულობენ... და მაშასადამე არც საბუთს და მიზეზს იპოვიან სამედიშტორო სამართლის მოწვევისათის.

მაშ ასე, ცოტა მოითმინეთ ქალბატონო და ვაჟბატონებო და ყოველსავე თქვენ მართებულ კითხვაზე მართებულსავე პასუხს მიიღებთ.

რედაქცია „ნიშადურისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— აღაჯან, ინებეთ ორსულთა კასაში ჩაეწერეთ! დიდი სარფაა!

— ტო, ჰერნანიწაწ! ვა, მე რომელი ორსული მნახე!?

— რა ვიცი, მუცელი ძალიან გაგბერიათ და!

— ?!!



პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრის მდგომარეობა.

წერილი რედაქციის მიმართ

სიმართლის აღდგენა. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ სამედიტორო სამართალში გამოვიწვიო ეგრედ წოდებული კ. მოსულიშვილი იმ წერის შესახებ რომელიც „ნიშადურის №22 იყო დაბეჭდილი ფლავიდგან, ვანაიდგან მე ჩემ თავს შეურაცხყოფილად ვთვლი. მედიატორეებად ვასახელებ ვანო კეპაშვილს და ჯიბრიელ ვანიშვილს. აგრეთვე ვადას უნიშნამ ერთ კვირას და თუ არ დამთანხმდება კ. მოსულიშვილი, მაშინ მე თვით გამოვმაშკარავებ მას, როგორც არა კეთილსინიდისიერ კაცს, რადგანაც მეზობლებში უნდა უსიამოვნების ჩამოგდება.

ვანო დაფქვიაშვილი.

მოკლეს ილია

(ჩაწერილი ი. კარგარეთლის მიერ).

Andante (მძიმეთ).



ნოტების ტექსტი.

1) მოჰკლეს ილია
ქართლის შვილია,
დაობლდა ხალხი
გმირთა გმირია.
2) ნეტა რათ მოჰკლეს?
ჩვენი ილია
და რათ დაგვირთეს
ჰირზედ ჰირია.
1) ქართლი, კახეთი
და იმერეთი,
გმირი სვანებიც
თან მისტირიან.
2) ფშავ და ხევსურებს
ძაძი ჩაუცვამთ,
მამულის შვილსა
ზარათ სტირიან.
1) მთიულს შესძახეს:
„გამოდი გარედ!
გულჩათხრობილი
ნუ ხარ მწირია“.
2) ჩაჰყე არაგვსა
ბარათ რომ ჩახვალ
მაშინ იქ ნახამ
მამულის შვილსა
როგორ სტირიან.
ნეტა ვინ მოჰლა?
ჩვენი ილია
და ვინ დაგვირთო
ჰირზე ჰირია?!

მსწრაფლ-მბეჭ. „ძმობისა“, მოსკოვის ქ., № 5.

ელექტრ. მბეჭდავი სტამბა „**სოროპანი**“ მად. კუნძ. № 1.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**